№ 94
ხუთშაბათი, 2 მაისი 1896

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1896

# ივერია

№ 94
ხუთშაბათი, 2 მაისი 1896

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 4 აპრილს.**

## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ დანიშნულია 5 მაისისათვის.

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ (სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის შენობაში, და **კნ. ოლღა თადეოზის ასულს**

ჭავჭავაძისას.

(ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი. № 21).

## გამგეობა

სეტყვისაგან ნათესების დამზღვეველ საურთიერთო საზოგადოებისა

(დაარსებულია 1877 წელს),

აუწყებს სოფლის მეურნეთა და პლანტატორებს, რომ ხსენებულის საზოგადოების კანტორა ტფილისიდამ კავკავში იქმნა გადატანილი. საზოგადოების რწმუნებულ კაცად კავკასიისათვის დანიშნულია ზ. ა. სიდომონოვი, რომელსაც, ვთხოვთ, მიჰმართონ ხოლმე მსურველთ, როგორც სოფლის მეურნეებმა და პლანტატორებმა დაზღვევისათვის, ისე მათ, რომელთაც საზოგადოების აგენტობა ჰსურთ. (3—6—1)

## კოჯორში,

გენეს სასტუმროს გვერდით იძლევა ქირით

8 ოთახიანი აგარაკი ყოველგვარის მოწყობილებით, ეზოთი და ჭით, დუქანი და პურის საცხობი ადგილი, ცალკ-ცალკე. დაწვრილებითი ცნობები მსურველს შეუძლიან შეიტყოს არნაუტოვისაგან, მისს საკუთარს მაღაზიაში, რომელიც იარმუკაზედ იმყოფება.

(3—56—2).

წლიური კრება

**ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წევრთა** დანიშნულია 4 მაისს ამ წლისა, საღამოს 8 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში.

განსახილველნი არიან:

1 ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1 ენკენისთვიდან 1894 წ. 1 იანვრამდე 1896 წ.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შესახებ.

3, სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შემოსავალ-გასავლისა 1896 წლისათვის.

და 4, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა. (6—5).

სათავად-აზნაურო

**ქართული თეატრი**

პარასკევს, 3 მაისს

ქართულ თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

I

პირველად ახალი პიესა

ძველი და ახალი

### თაობა

კომ. 3 მოქმედ. №-ისა

II

ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი

ვოდ. 1 მოქმედებ.

„ძველ და ახალ თაობაში“ უმთავრესს როლებს შეასრულებენ: ბ-ნნი ვ. ალექსი-მესხიშვილი და კ. ყიფიანი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. საფაროვისა, ნებიერიძისა, რჩეულოვისა, კნ. ციციშვილისა, ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი, კ. ყიფიანი, შათირიშვილი, ნებიერიძე, ადამიძე, საფაროვი, კარბელი და სხვ.

III

### ლეკური

იცეკვებენ ქ. **ნებიერიძისა** და №; შემდეგ მსურველნი.

სამხედრო მუსიკა და საზანდარი „**ჰაზირა**“.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ

რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.

**კაბინეტი კბილის ექიმთა**

**ვ. ი. ჯიჯინაძისა და ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.

ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

## შემოწირულება

,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების‘‘ სასარგებლოდ 5 მაისისათვის დანიშნულ ლატარია-ალეგრისათვის შემოსწირეს:

ხელთუბნის სკოლიდამ: 1 ხურჯინი, 1 ყმაწვილის საბანი მოქსოვილი, შალი ძაფისა, 1 შავი დიდი უბეური შალი მოქსოვილი ანგორსკის ძაფისა, 3 თავზედ მოსახვევი მოქსოვილი ანგორსკის ძაფისა, 2 საშაქრე ფერადი მძივით მოქსოვილი, 4 პირსახოცი 3 კანვით შეკერილი, 1 თათრული ნემსმოდებით შეკერილი, 2 გარუსის ძაფით მოქსოვილი ჩეჩიკი პატარა ბავშვებისა, 3 წყვილი ბაშმაკი, 1 წყვილი ტუფლი, მოქსოვილი გარუსის ძაფითა, 8 არშინ-ნახევარი შპილკაზე მოქსოვილი არშია წმინდა კოჭის ძაფითა, 2 არშინ-ნახევარი კურტკებზე მოსავლები არშია, მოქსოვილი, 2არშინი ბრტყელი ₌ არშია შპილკაზე მოქსოვილი ხელსახოცისა, 6 არშინი ვიშივკის ნაირათ მოქსოვილი წმინდა კოჭის ძაფითა, არშია 5 არშინი, მოქსოვილი წმინდა კოჭის ძაფითა, პერანგების არშია, 1 წყვილი ჩულქები სახიანი, დიდრონები, 1 სანემსე ბალიში თავისის მოქსოვილი პირითა, 1 ბალიში არშიანი, 2 ფანჯრის ფარდების არშია, 1 შავი ანგორსკის ძაფით მოქსოვილი შარფი, 1 შავი კლუბოკის ძაფით მოქსოვილი ბალიშის პირი, 3 თავსაკრავი და 10 ნაქსოვი ქისა.

## ახალი ამბავი

—

**** როგორც გაზ. „ნოვ. ობ.“-ე იუწყება, სამეურნეო სამინისტროს შეუწყნარებია ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ზოგიერთს ტყის უფროსებს ჯამაგირი მოემატოთ და ჯილდო მიეცეთ მათ, ვისაც სატყეო უწყებაში მსახურთაგანს სატყეო შემოსავლის ზრდისათვის უზრუნვია.

**** თემირ-ხან-შურის ქალთა პროგიმნაზიის სრულ გიმნაზიად გადაკეთებას უპირებენო, სწერენ იმავე გაზეთს.

**** 20 აპრილს გზათა მინისტრისაგან ნებართვა მოვიდა, რომ კავკასიის რკინის გზის ლიანდაგზედ, მე 91 ვერსზედ, სამტრედია-ბათუმის ნაწილში, ბათუმის გვირაბის მახლობლად რკინის გზით მოგზაურთათვის პლატფორმა იქმნას გახსნილი, სადაც მხოლოდ მგზავრებს შეეძლებათ მატარებელში ჩასხდომა უბარგოთ. ნებართვა მოუვიდათ იმ პირობით, თუ პლატფორმის აშენებას, თვალ-ყურის დევნებასა და მოსამსახურის დაქირავებას ადგილობრივნი მცხოვრებნი იკისრებენ. ბილეთების აღება მახლობელ სტანციებზედ შეიძლება. ვიდრე პლატფორმა გაიხსნებოდეს, ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენელმა პირობა უნდა შეჰკრას რკინის გზის უფროსთან, რომ საჭირო ხარჯს და აგრეთვე შემდგომში პლატფორმის შენახვას ადგილობრივნი მცხოვრებნი კისრულობენ.

**** როგორც გაზ. „ტფ. ფურცელი“ სწერს, ტფილისის გუბერნიის საერო სასწავლებლების დირექტორმა აცნობა თურმე ქალაქის სასწავლებლების კომიტეტს, რომ მომავალ სამოსწავლო წლიდამ, ი... სექტემბრიდამ, იმ სკოლ... რომლებიც ქალაქის ...ლებით ინახებიან, 1867 წ. ...ებით მოწაფე-ქალები უნდა იქმნან მიღებულნი, რადგანაც კავკასიაში სასწავლებლებში არ შეიძლება ქალები და ვაჟები ერთადა სწავლობდნენო.

### „ქ. შ. წ.-კ. ს.“ ლატარია-ალეგრის შესახებ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გასამართ ლატარია-ალეგრისათვის, რომელიც 5 მაისისათვის არის დანიშნული, ნივთები, რიცხვით ათას ხუთასამდე, უკვე მიიღეს მოსკოვიდამ, მრავალი შემოწირულება და მათ შორის ბევრი ძვირფასი ნივთები მოუვიდა გამგეს ლატარია-ალეგრისას კნ. ოლღა თად. ასულს ჭავჭავაძისას, როგორც ქ. ტფილისიდამ, ისე საქართველოს სხვა ქალაქებიდამაც. ამათ შორის ყურადღებას იქცევს ძვირფასი და უხვი შემოწირულება, თითქმის სამასის მანეთისა, პატივცემულის ქ-ნის ეკატერინე სარაჯიშვილისა, ძვირფასი ვერცხლეულობა ახალციხიდამა და ქუთაისიდამ, მრავალი საუცხოვო ნივთები ფრაჟესი: სამოვრები, შანდლები, რქა, ფოდნოსები, სარკეები, ლამფები და სხ., აგრეთვე ხალიჩები, ფარდაგები, აბრეშუმით ხავერდზე ნაკერი ბალიშები, მუთაქები, ძვირფასისა და საუცხოვო ხელოვნებით ოქრომკედ ნაკერი ნივთები, ვაზები, ძვირფასი ლვინოები და სხვა სასმელები და სხვანი.

რადგანაც წრეულს 10 წელიწადი სრულდება, რაც ხსენებულის საზოგადოების სასარგებლოდ ლატარია-ალეგრი იმართება, მომგები ბილეთები შედარებით წარსულ წლებთან ერთი ორად მეტია და თვითონ ნივთებიც უფრო ძვირფასნი. გარდა ამისა, სამახსოვროდ ათის წლის განვლისა, რაც ლატარია-ალეგრი იმართება, დამზადებულია საუცხოვო „ჟეტონები“ წერა-კითხვის საზოგადოების ემბლემით და მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ.

თვითონ მუშტაიდის ბაღი, სადაც ლატარია-ალეგრი გაიმართება, ამ დღისათვის გაჩირაღდნებული იქმნება, დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა, ზურნა და ერთობ მშვენიერად და სასიამოვნოდ იქმნება იგი მორთული.

თუ რომ ამ დღეს, 5 მაისს, ცუდი, წვიმიანი ამინდი იქმნება, მაშინ ლატარია-ალეგრი შემდეგისათვის იქმნება გადადებული, რაიც თავისს დროზედ იქმნება გამოცხადებული.

### ტფილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა წლიური კრება.

27 აპრ...

...მდეგი *)

თ. ილ. ჭავჭავაძე. ეხლა ავხსნათ მეოთხე მუხლი მინისტრის ქაღალდისა. აი, რას ამბობს იგი:

„უძრავ მამულთა, რომელნიც ბანკსა რჩება იმის გამო, რომ მეორე საჯარო ვაჭრობაზე მსყიდველნი არ აღმოჩნდნენ, არ ჰყიდის ბანკი ექვსის თვის ვადაზე, რა ვადაც წესდების ძალით სავალდებულოა მათ გასასყიდად და ამასთანავე არ არიან დაცულნი სახაზინო ინტერესები, რადგანაც გასყიდვამდის ბანკი მათ თავისს სახელზე არ იმტკიცებს“.

ექვსის თვის განმავლობაში გასყიდვა ბანკის მიერ იმა მამულთა, რომელნიც მას დარჩა, ბანკის დარბევაა. როდესაც საადგილ-მამულო ბანკთა წარმომადგენელთა კრება იყო—აღძრეს შუამდგომლობა ამ გვარს შემთხვევაში ვადის გაგრძელებისა და მართებლობამ ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას, მით, რომ აღასრულა თხოვნა რამოდენიმე ბანკთა. ჩვენც დაგვპირდნენ და ამის შესახებ ქაღალდიცა გვაქვს სამინისტროსი. შუამდგომლობას შეიწყნარებენ. გაუწყებთ, რომ ვერც ერთი ბანკი ამ წესს ვერ შეითვისებს. არა ერთჯერ მოგვწერეს ამ ვადის გასვლამდე გაჰყიდეთ მამულებიო, მაგრამ ჩვენ ეს ვერ შევასრულეთ, რადგანაც ამგვარის მოთხოვნილების აღსრულება შეუძლებელია ისე, რომ ბანკს ზარალი არ მოუვიდეს. ჩვენ საჭიროების ძალით არ ვასრულებდით ამ შემთხვევაში წესდებას და ექვსს თვეზე უფრო მეტს ხანს ვიტოვებდით მამულებს. ეს საკრედიტო კანცელარიისათვისაც არ იყო საიდუმლო; იმან კარგად იცოდა ეს გარემოება; ის დარწმუნდა, რომ ასეთი მოკლე ვადა ბანკისათვის მოუხერხებელი და საზარალოა და ამისათვის საჭიროდ სცნო ფინანსთა სამინისტრომ კანონ-მდებლობის გზით ეშუამდგომლა ვადის გაგრძელება. და ჩვენ, გიმეორებთ, დაგვპირდნენ ამას, და ხაზუთად ამისა სამინისტროს ქაღალდი გვაქვს. რაც შეეხება მამულების ბანკის სახელზე დამტკიცებას ექვსის თვის ვადით, მე თუმცა დიდი მცოდნე არა ვარ კანონისა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ყველა კანონები რომ გაჩხრიკონ, ვერავინ გვაჩვენებს სახეს ისეთის სიგელისას, რომელიც დანიშნული იყოს სამტკიცად ექვსის თვის საკუთრებისა. ყველამ იცის, ერთი უპირატესი ნიშანი უძრავის ქონების კუთვნილებისა ის არის, რომ იგი საშვილიშვილოა და არა საექვსთვიო. მე უარს არა ვყოფ, რომ საკრედიტო კანცელარიას უფლება აქვს ასეთი მოწერილობა გამოგვიგზავნოს, რადგანაც სენატიც იძულებულად ჰყოფს ბანკებს ექვსის თვის კუთვნილების შესაძლოდ მათ ხელთ ჰქონდესთ კანონიერი, დამტკიცებული სიგელი. ასეთმა მდგომარეობამ რამოდენიმეჯერ აიძულა წარმომადგენელნი საადგილ-მამულო ბანკთა ეშუამდგომლათ ამ საგნის შესახებ კრებების დროს. მაგრამ ამ შუამდგომლობას არ ეღირსა შეწყნარება. შეიძლება კიდევ ხელ-ახლად ამაზე შუამდგომლობა, თუ დაავალებთ გამგეობას.

მეხუთე მუხლი მინისტრის ქაღალდისა შემდეგია:

*) იხ. «ივერია» № 93.

„32 § წესდების წინაალმდეგ გამგეობა აძლევს ნებას გადააწინდონ მამული გარდაუხდელად ვალის ერთის მეხუთედის (1/5). გარდა ამისა ამ შემთხვევაში, როცა გადააწინდებენ მამულს და მსესხებელს ეძლევა დამატებითი სესხი, გამგეობა სამინისტროსა სთხოვს ნება-რთვას გირავნობის ფურცლების გამოცემისას, მაგრამ არა დამატებით სესხისას, არამედ მთელის გადაწინდებულის ვალის კვალობაზე. ამასთან გამგეობა თავისს ჟურნალებში ჰფარავს ამ საგნის შესახებ იმ გარემოებას, რომ ეს მამული წინათაც იყო დაგირავებული. ამისათვის, გარდა იმისა, რომ გამგეობა იცილებს თავიდამ ფინანსთა სამინისტროს ზედამხედველობას ასეთის სესხის შესახებ,— ამ წესის პირდაპირი შედეგია დამძიმება თვით მსესხებელისა, რადგანაც ის ვალდებული არის ბანკის სასარგებლოდ გარდაიხადოს ერთი (1) % მთელის გადაწინდებულის ვალისა და არა მხოლოდ დამატებითი სესხის კვალობაზე“.

ძალითა § 32 წესდებისა, რომლის გამო ამ შემთხვევაში ბანკს ბრალსა სდებენ, არც ერთი სესხი არ გაცემულა. გადაწინდება არ მომხდარა ჩვენს ბანკში.

მამულები-კი არ გადაიწინდებოდნენ ხოლმე, არამედ ექვს პროცენტიანი სესხი, გადაკეთდებოდნენ ხოლმე ხუთ პროცენტიანად, როგორც ამას ამტკიცებს თვით ბ-ნი რევიზორიც. და ამ გადაკეთებით მსესხებელთა შეღავათი ეძლევოდათ. გადაწინდება-კი შეიძლება მაშინ, როდესაც ერთი მეხუთედი სესხისა გარდახდილია და მსესხებელი თხოულობს გაუნაწილონ მას სესხი ახალის ვადით ასე, რომ ანუ ოთხი მეხუთედი დანაშთენი ვალი ახალ ვადით განაწილდეს ანუ გარდახდილის ვალის ნაწილიცა დაემატოს.

სესხის ასეთი გარდაცვლა მდგომარეობს იმაში, რომ 6%-იანი 5%-ნად გარდაიქმნება. ამ გზით ჩვენ კონვერსია მოვახდინეთ სამ მილიონამდის, ესე იგი, მსესხებელთ ჩამოვაშორეთ ტვირთი ოც-და-ათი-ათასის (30000) მანეთისა ყოველ წლივ. რაიცა შეეხება მას, რომ დამატებით სესხი, ვითომც და გაცემულიყოს თავდაპირველის სესხის რაოდენობის დამალვით, ეს სწორე არ არის, და ამას არც ასაბუთებს მოხსენება რევიზორისა. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, როდესაც გვეთხოვოს მარტო დამატებითი სესხი აღუნიშვნელად გამგეობის ჟურნალში, რომელიც საკრედიტო კანცელარიას ეგზავნებოდა, თავდაპირველის ვალის რაოდენობისა. ეს თუ ასე არ არის, მე ვითხოვ გადაათვალიერონ ყველა ჩვენი შუამდგომლობა დამატებითის სესხის შესახებ და, დეე, გვაჩვენონ ერთი შემთხვევა მაინც ამისი წინაალმდეგი; თვით რევიზორიც ამ შემთხვევაში ამისთანას არას ამბობს და არ აღნიშნავს თვისს მოხსენებაში.

ჩვენ რომ არ ვაჩვენებდით იმ ვალს, რომელიც უკვე იყო მამულზედ, როცა 6% გირაოს 5% შევცვლიდით ხოლმე, ეს იმიტომ, რომ არ არის მოხსენებული არც წესდებაში, არც ფინანსთა სამინისტროს რაიმე განკარგულებაში, რომ ამგვარს შემთხვევაში არსებული ვალი საჩვენებელი იყოს. ამისთანა ვალი ნაჩვენებია ხოლმე გირავნობის მოწმობაში და სანამ ეს ვალი გარდახდილი არ იქმნება, ახალი სესხი არ მიეცემა. თვით რევიზორის ანგარიში გვიჩვენებს, რომ გამგეობის მოქმედება ამ შემთხვევაში კეთილ-სინიდისიერია, ე. ი. ჯერ არსებულ ვალის გარდახდას თხოულობდნენ და როცა იგი გარდახდილი იქმნებოდა, მერე აძლევდნენ ახალს. გვიჩვენებენ, რომ ამგვარის წესის გამო ფინანსთა სამინისტროს არ შეუძლიან თვალ ყური ადევნოს გირავნობის ფურცელთა რაოდენობასაო. ეს მგონი ასე უნდა გავიგოთ, რომ ერთისა და იმავე სესხის გამო არსებობს ერთსა და იმავე დროს ორი წყობა გირავნობის ფურცლებისა, რომელთაგან ერთი უკვე ტრიალებს საზოგადოებაში და მეორე გამოიცემა იმათ სამაგიეროდ. მართალია, მაგრამ განა შესაძლებელია თვალ-ყური ადევნოს კაცმა, მაგალითად, როცა ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკიდამ ანუ ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოებიდამ გადმოაქვთ მამულები ჩვენს ბანკში დასაგირავებლად და ამის გამო ვითხოვთ ხოლმე გირავნობის ფურცლების გამოცემის ნებართვას. ამ შემთხვევაში ხომ გვაძლევენ ნებას, სესხის მისაცემათ მოვითხოვოთ გირავნობის ფურცელი. აქ სრულიად ჩვეულებრივის წესით ორი წყობა გირავნობის ფურცლები ანუ ობლიგაციებისა მოდის: ერთი მაშინ, როცა ერთი იმ საკრედიტო დაწესებულებისაა, რომლიდამაც გადმოაქვთ და მეორე იმისი, სადაც გადააქვთ. აქ კონტროლი შეუძლებელია, რადგან არც წესდება თხოულობს და არც პრაქტიკა, რომ ამისთანა შემთხვევაში არსებულის ვალის რაოდენობა შევატყობინოთ საკრედიტო კანცელარიას, როცა ვთხოულობთ გირავნობის ახალის ფურცლების გამოცემის ნებართვას. კონტროლი მხოლოდ იმაში უნდა იხატებოდეს, რომ მთელი ჯამი გამოცემულის გირავნობის ფურცლებისა იმდენი იყოს, რამდენიც სესხია გაცემული ამა, თუ იმ საკრედიტო დაწესებულებისაგან. ეს სწორედ ასე სწერია § 49 ბანკის წესდებისა: „ჯამი გირავნობის გამოცემულის ფურცლებისა არ უნდა იყოს მეტი იმ ხანგრძლივ სესხზედ, რომელსაც იძლევა ბანკი უძრავს მამულზე.“ ეს ცნობები მოთავსებულია ანგარიშებში და ყოველთვიურს ბალანსებში, რომელიც წარედგინება ხოლმე საკრედიტო კანცელარიას.

შემდეგ მინისტრის ქაღალდი ამბობს, რომ ეს წესი ამძიმებსო მსესხებელთ, რომელთაც უნდა გარდაიხადონ ბანკის სასარგებლოდ 1% პრემია ყველა გადაგირავების შემდეგ მიღებულის სესხისა და არა მარტო იმ სესხისა, რომელიც დამატებით ეძლევაო. როცა სესხი ჰიცვლება, მამული ფასდება ისე, როგორც ახალი გირაო, გამოიცემა გირავნობის ახალი ფურცლები, ყოველსავე ამას მოჰყვება ხოლმე ახალი ხარჯი, და ამის შესავსებლად დაწესებულია წესდებაში ერთ ხან გადასახადად 1% მთელის სესხისა. მე იმის წინაალმდეგი არა მაქვსრა, რომ სესხის შეცვლის დროს ამას არ ვახდევინებდეთ, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს პარაგრაფი წესდება[illegible] არის და სანამ ეს ასეა, ჩვენ არა გვაქვს [illegible]ბა ასეთი შეღავათი მივსცეთ მსესხებელს [illegible]ცა სესხს ვუცვლით, ე. ი. როცა ხელ-[illegible]ად ვაფასებთ, ხელ-ახლად ვუმზადებთ და გირავნობის ახალს ფურცლებს ვაბეჭდინებთ. რაიცა შეეხება იმას, რომ დამატებითის სესხის მიცემის დროს ახდევინებდნენ 1% მთელის ვალისაგან და არა მხოლოდ დამატებითის სესხისაგან, ეს ესე არ არის იმიტომ, რომ არ არის არც ერთი შემთხვევა, სადაც ეს გარდასახადი მოგვეთხოვოს მთელის ჯამიდამ თავდაპირველისა და არა მარტო დამატებითის ვალისა. მთელი ეს ამბავი საქმისა იმაშია, რომ დამატებითი სესხი, გადაკეთება სესხისა და გადაგირავება ერთმანეთისაგან არ არის გამორჩეული.

## კიდევ დღევანდელ ჭირ-ვარამზე.

(სოფ. ხრეითში და წესში მომხდარ უბედურების გამო).

დასასრული *)

რა ეშველება ამოდენა გატიალებულ ხალხს? როგორ უნდა მოიბრუნონ კვლავ სული? მაგრამ განა ამ სოფლებით თავდება წლევანდელი უბედურება? განა ეს ნახევარი წელიწადი მტრისაგან განუწყვეტელ დარბევას ხან ერთი ადგილისას, ხან მეორისას, ხან მესამისას არ მოგვაგონებს? განა ზარალი მარტო უკვე დაღუპულ-გაფუჭებულით უნდა გაიზომოს? მომავალიც ხომ რამდენ ცუდ შედეგებს გვიქადის — სხვა-და-სხვა ავადმყოფობათა გავრცელებას, სიღარიბე-სილატაკეს და ამის წყალობით, დამნაშავეთა რიცხვის გამრავლებას, ყოველ მხრივ წარმატების შეჩერებას და სხ. და სხ.

ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში არა ერთხელ გამოითქვა ის აზრი, რომ დაზარალებულთა დასახმარებლად საჭიროა შეერთებული მეცადინეობა საზოგადოებისა და მთავრობისა. საზოგადოების ინიციატივამ თუმცა გვიან, მაგრამ ასე თუ ისე მაინც იჩინა ბოლოს თავი: დაარსდა ადგილობრივი თუ ცენტრალური კომიტეტები, რომელნიც აგროვებენ კიდეც შემოწირულებას, იმართება სხვა-და-სხვა ადგილას საღამოები დაზარალებულთა სასარგებლოდ და სხ. და სხ. ხოლო ის ჩვენი მოლოდინი, რომ მთავრობა და რუსეთის საზოგადოება, რაკი შეიტყობენ ჩვენ გაჭირვებულ მდგომარეობას, უხვ დახმარებას აღმოგვიჩენენ, ჯერ-ჯერობით მაინც არ გამართლდა. მართლაც და, რას ნიშნავს ასეთი გულ-გრილობა ჩვენ მიმართ? რით უნდა ავხსნათ ის გარემოება, როგორც ეს აღნიშნა ამას წინად გაზ. „ნოვ. ობოზ.“-მ, რომ აბაშელთათვის მთელი რუსეთი შეინძრა, მათ სასარგებლოდ შემოწირულებანი იკრიბება, გაიგზავნა კიდეც თვით აბაშეთში მთელი რაზმი საექიმო შემწეობის აღმოსაჩენად, მაშინ, როდესაც საქართველოს ერისათვის, რომელიც რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომიც არის და უფრო ახლო, ვიდრე აბაშეთი, არავინ ყურიც-კი არ გაიბერტყა. აბა, ერთი მიბრძანეთ, მარტო ცალიერი დაპირებანი გაუჭირვებლობის დროს ჩვენ რად გვინდა, თუ ჭირში მყოფთ ადამიანი ყურადღებას არ მოგვაქცევს? ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ რუსეთში ჩამოვარდნილ უკანასკნელ დიდ შიმშილობის დროს ისეთმცირე ნაწილმაც-კი, როგორც ჩვენი მხარეა, შეძლებისამებრ მიიღო მონაწილეობა დამშეულთა დახმარებაში თუ ფულით, თუ ჭირნახულით, ეხლაკი, [illegible] შავ დღეს, ისეთ დიდ სახელმწიფო[illegible] როგორიც რუსეთია, ნეტავ იმის მეათ[illegible] მაინც მოეწოდებია ჩვენთვის, რაც აქედამ გაიგზავნა. ესეც რომ არ იყოს, ჩვენი ეხლანდელი მდგომარეობა გაცილებით უფრო მძიმეა, უფრო სახიფათოა იმასთან შედარებით, რა ყოფაშიაც ჩავარდა მოუსავლობის გამო რუსეთის ხალხი. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ თუმცა რუსეთში გაჭირვება დიდი იყო, მაგრამ მის მაგიერ შემწეობაც დიდი იყო. იმ დროს მარტო მთავრობამ თითქმის ორას მილიონ მანეთამდე ფული გამოიღო; გამოიცა სხვა-და-სხვა საშეღავათო კანონები, დაწესდა საზოგადო სამუშაო (общест. работы); ამას დაუმატეთ კერძო თაოსნობით და მხნეობით შეკრებილი შემოწირულებანი, შემწეობა საზღვარ-გარეთიდამ და, დასასრულ, ის დიდი სამსახური, რომელიც გაუწია ერობამ რუსის ხალხს. ჩვენში-კი, სადაც ამისთანავე საერთო სიღარიბეა, ნამდვილად რომ ვსთქვათ, არც ერთია, არც მეორე და ერც მესამე, რადგან ის თითო-ოროლა გროში, რომელიც მთავრობამ და საზოგადოებამ გამოიღო, ჩასათვლელი არც-კია. ამ შემთხვევაშიც, როგორც არა ერთხელ სხვა დროს, მეტად საგრძნობელი გახდა საერობო დაწესებულებათა უქონლობა ჩვენში. ადმინისტრაციამ, რომელიც აქ ერობის მაგიერობას ასრულებს, ვერ გამოიჩინა ისეთი მხნეობა, როგორც საჭირო იყო, ვერ უგდო ყური ხალხის გაჭირვებას. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ადმინისტრატიულ დაწესებულებათ ისედაც ბევრი სხვა მოვალეობანი აწევს, რომ ყოველიფერს რიგიანად და სავსებით გაუძღვეს.

ჩვენ პერიოდულ პრესსაში მრავალნაირი საშუალებანი დაასახელეს გაჭირვებულთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად. ჩვენის აზრით, მეტად საყურადღებოა სხვა-და-სხვა საშეღავათო კანონები ადგილობრივ მცხოვრებელთათვის, როგორც მაგ. სახელმწიფო ტყიდამ ხე-ტყის მასალის მიცემა დაზიანებულ სახლების შესაკეთებლად და დანგრეულების ასაშენებლად, ხანგრძლივის სესხის გაცემა უსარგებლოდ, ერთის წლის გარდასახადის მაინც ან მთლად პატიება ან განაწილება, სათესლედ სიმინდისა და პურის სესხება და სხ. და სხ.

ამიტომ ძლიერ კარგი იქმნება, რომ ჩვენ სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებმა საგუბერნიო ადმინისტრაციასთან ერთად იშუამდგომლონ ფულით შემწეობაზედ გარდა, აგრეთვე ზემოდ დასახელებულ შეღავათებზედ, ამისათვის ერთი მარჯვე შემთხვევაც არის: მოსკოვში ამ მოკლე ხანში ხელმწიფის დაგვირგვინების გამო შეიკრიბებიან მთავრობის ყველა წარმომადგენელნი, რომელთ შეიძლება მოხსენდეს ჩვენი დღევანდელი გაჭირვებული მდგომარეობა. მაშინ, უეჭველია, ვინმე ყურადღებას მოგვაქცევს და ჩვენი ბედი ისევ წალმა დატრიალდება.

გრ. გველესიანი.

*) იხ. „ივერია“ № 93.

## ქართველ სტუდენტების საყურადღებოდ.

ამ უკანასკნელ დროს, როდესაც საერთო ხმაურობამ ირგვლივ ჩვენი საზოგადოების უმეტესი ნაწილი ხანგრძლივის ძილისაგან გამოარკვია, მიახედ-მოახედა და აგრძნობინა, რომ ის ჯერ სულ ბალღია, ჰკუა დაუმჯდარი, გონება განუვითარებელი, ძლიერ სუსტი, უძლური, არსებობისათვის საბრძოლველად მოუმზადებელი; რომ მას მამა-პაპეული ნელ-ნელა ხელიდგან ეპარება, მაშინ როდესაც მომავალში საარსებოდ არავითარი გარანტია არა აქვს, ერთად-ერთს უეჭველს, უფრო საიმედო საშუალებას მიმართა ამ უბედურებისაგან თავის დასაღწევად: სწავლა-განათლებას დაეწაფა. და აი ვხედავთ, თავადი, აზნაური, მღვდელი, გლეხი—ყველანი თავისს უკანასკნელს გროშს შვილების აღსაზრდელად იმეტებენ იმ იმედით, რომ უკანასკნელნი, საკმაოდ მომზადებულნი, ცხოვრებისათვის, მყოფათში მტლად დაედებიან მათთვის თავდადებულს მშობლებს. იზრდება ქართველი: გიმნაზიას ასრულებს, ბრწყინვალე იდეებით რუსეთისკენ მიემგზავრება და უნივერსიტეტში შედის; ახალი ცხოვრება, ახალი აზრები, ამხანაგთა წრეები, საკმაო საშუალება გონების განსავითარებლად, ყველაფერი ხელს უწყობს მათ მიზნის მიღწევას, გარდა ზოგიერთი დაბრკოლებისა... მაგრამ რას ვხედავთ? ამთავრებენ რა კურსს, ჩამოდიან სამშობლოში, გარნა მათთვის ზრუნვამ, მათმა გამეცნიერებამ სამშობლოს მაინც „არა რა არგო!“ რა არის ამის მიზეზი? რას დავაბრალოთ, რომ ოდესმე დაიმედებული საბრალო მშობლები სასოწარკვეთილებით გაიძახიან: „ესეც ჩვენი ინტელიგენცია: შალომასავით იყვლიფება; ჩვენი მას არ ესმის და მისი ჩვენ არა გაგვეგებარაო!“ მართლა რომ ეს სამწუხარო მოვლინება ისეთი რთულია, რომ ძნელია გადაჭრით პასუხის მიცემა ამ კითხვაზე. მხოლოდ ჩვენის ფიქრით, ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი არის მათი თავისის ქვეყნის არ ცოდნა. ვის რა უჭირს, ვინ რისთვის კვნესის სამშობლოს მრავალ სოფელ-დაბაში, მხოლოდ გაზეთის ფურცლებზედ გაკვრით თუ ეცნობებათ მათ განათლებულს თავს და კაბინეტში ცალმხრივი მსჯელობით ცდილობენ ცხოვრების მრავალგვარ სენს ძირი მოუთხარონ. დიაღ, ცდილობენ! მაგრამ რა ქნას იქ ცდამ, სადაც ცნობა არ არის! მაშინ ზოგიერთი სამოყვრო მეცადინეობაც სამტროდ გადაიქცევა. „მაშ რა ვქნათო?“ დამეკითხება ცოტათი გაჯავრებული ახალგაზდობა. მარტივათ გიპასუხებთ: ის დრო, რომელსაც, თქვენ რუსეთის ცივ ჰაერიდგან სამშობლოს თბილ ჰაერს ქვეშ დროებით, საორთვეოდ დაბრუნებულნი, ცეკვაში, ღვინოში და ქალების „არშიყობაში“ გართობას ანდომებთ, მოიხმარეთ სასარგებლოდ, გაიცანით თავ-თავისი კუთხე, სოფელი, დაბა, ქალაქი, შესძინეთ თქვენს თეორიულ ცოდნას პრაქტიკული გამოცდილებაც, გაიცანით რიგიანათ ზოგიერთი მხარეები ხალხის გაჭირვებული ცხოვრებისა, დააკვირდით, ახსენით თეორეტიკებისათვის ძნელად ასახსნელი კითხვები; დაუახლოვდით ხალხს, მოისმინეთ მისი მწუხარება, დაუმეგობრდით მას მისივე ვარამის გაზიარებით, შესძინეთ მისს გონების ბნელს სალაროს მცირე რამ გამოსადეგი თეორიული ცოდნა, და დამერწმუნეთ, რომ რიგიანი ახალგაზდასათვის, რომელსაც მცი-

როდენი სიყვარული მშობელი ერისა გულში ჩაშთენია, საუკეთესო „საუკეთესო თავის გასართობი საღამოები» იქმნება. ნუ თუ სასიამოვნო არ არის, თქვენი შთაგონებით, თქვენი სიტყვის, თუ საქმის ზეგავლენით გამოფხიზლებული ხალხი რომ შეიგნებს, მაგალითად, სკოლების დაარსების საჭიროებას, რომელიც უპირველესს საშუალებას შეადგენს ქვეყნის გონებრივს, ზნეობრივს და მაშასადამე მატერიალურს კეთილ-მდგომარეობის გასაუმჯობესებლად? განა ამაო ლხინს, ზეიმს შეუძლიან შემდეგში ის ზნეობრივი სიამოვნება, სინიდისის წინაშე სიწმინდე აგრძნობინოს ადამიანს, როგორც კეთილმოქმედების ნაყოფს? ეს თქვენ უკეთ უწყით, მაგრამ, როგორცა სჩანს, ჯერ კიდევ ჩვენს ცხოვრებაში პირველი თავის გართობა უფრო პატივ დებაშია. და თუ იმ ერს, რომლის სასარგებლოდ მოღვაწეობისათვის ვემზადებით, არ გავიცნობთ, ამაო იქნება ყოველივე ღაღადება.

ა. წულუკიძე.

## შედეგი

მიზეზად გადაქცეული.

ჩვენის საზოგადოების სავალალოდ, ხშირად, ძალიან ხშირად მართლდება ქართულს სალიტერატურო წრეში ქართული ანდაზა: „მართლის მთქმელს ცხენი უნდა შეკაზმული ჰყავდეს, სთქვას, შეჯდეს და გაეცალოს იქაურობასაო“.

სწორედ ამ მართლის მხილებამ, გამოთქმულმა ჩემ მიერ „მოამბის“ მესამე წიგნში სრული ლიტერატურული თავაზიანობით, გააწიწმატა უსახელო კრიტიკოსი იმ ზომამდე, რომ არ დაითაკილა დაებეჭდა „ივერიაში“ იმისთანა შეუსაბამო და უკადრისი პასუხი, რომელიც მობანეთ ხდის მას მუნჯოვსა, მტევანოვსა და კამპანიასა და რომელიც ღაღადებით მოითხოვს სამედიატორო, ან საამხანაგო სამართალსა. ჩვენც სწორედ ეს სამართალი მოვითხოვეთ იმავე დღესა, რა დღესაც დასტამბა კრიტიკოსმა თავისი „საკენკი.“

მთავარ ანუ პირველ მიზეზად, რის გამოც შენიშვნა არ დაიბეჭდა „ივერიაში“, ავტორი ასახელებს იმას, ვითომც მე ის შენიშვნა გამეგზავნოს რედაქციაში რიხიან წერილთან ერთად. ეს რომ მართალი იყოს, ცოტათი მაინც გაამართლებდა ჩემის შენიშვნის დაუბეჭდველობასა... მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ეს ხალასი... ფანტაზიაა. როცა „ივერიაში“ ვგზავნიდი ჩემს შენიშვნასა, მე სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი დაიბეჭდებოდა ყოვლის უარის უთქმელად, რადგანაც გაზეთი დაუბრკოლებლივ უთმობდა ადგილს სხვა-და-სხვა აზრს თავისი თანამშრომლებისას შესახებ პრინციპიალურის საკითხებისაც-კი, მაგალითებრ შესახებ კლასიკურის და რეალურის სისტემისა, ქალების ემანსიპაციისა (მოვიგონოთ ბათუმელის კატოს გალაშქრება პლეხსის წინაალმდეგ) და სხვანი. ჩემს ბაასს კი საგნად ჰქონდა უთანხმოება ერთის ჟურნალის ნომრის დაფასებაში, რაც პრინციპიალურს მნიშვნელობას სრულიად მოკლებულია. მე მხოლოდ ისა ვთხოვე, რომ მეორე დღესვე დაებეჭდათ გაზეთში ჩემი შენიშვნა და კარექტურა შინ გამოეგზავნათ, რადგან უქეიფოდ ვიყავი და კარში არ გამოვდიოდი. პასუხად მივიღე უფროსი თანამშრომლისაგან: თქვენი სურვილი დაკმაყოფილდება და დღესვე გამოგეგზავნებათ კარექტურაო. მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი უსიამოვნობა და განცვიფრება, როდესაც საღამოზე კარექტურის მაგივრად მივიღე წერილი იმავე პირისა, რომლითაც ბოდიშს იხდიდა, რომ თქვენს სურვილს ველარ ვასრულებთო: თუმცა შენიშვნა ავაკრებინეთ და საკარექტუროდ კიდეც დავაბეჭდვინეთ, მაგრამ, როცა ყურადღებით გადავიკითხეთ, მისი დასტამბვა გაზეთში შეუძლებლად დავინახეთო. ეს შენიშვნა, შეიძლება დაიბეჭდოს სხვა ქართულს გამოცემაში და არა „ივერიაშიო.“—რადგან შენიშვნა იყო ობექტიური, საგნებრივი, ყოველს პირადობას და წყენას მოკლებული, გამოწვეული იმ საზოგადოებრივი მიზნით, რათა დაუმსახურებელი გულგრილობა საზოგადოებისა „მოამბისადმი“ ცოტათი მაინც შეემცირებინა, გაელხო, ამიტომ მე გავუგზავნე საყვედურის წერილი, რომელსაც კრიტიკოსი ეძახის რიხიანს ბარათსა და რომელსაც მედიატორენი ალიარებენ მართებულ წერილად. მე ამაში სავსებით ვარ დარწმუნებული. მე მოვითხოვე დაებრუნებინათ უკან ჩემი ხელთნაწერი, და მის მაგივრად მივიღე კარექტურის ფურცელი ჩემი შენიშვნისა და სწორედ ეს კარექტურა გავგზავნე დასაბეჭდათ „მოამბის“ რედაქციაში. ეს კარექტურა, აკრეფილი «ივერიის» სტამბაში, დოკუმენტალური გამტყუნებაა იმ აზრისა, რომელიც არ დაითაკილა კრიტიკოსმა და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ბარათი მოაჩვენა მკითხველს მიზეზად შენიშვნის არ დაბეჭდვისა, როდესაც ის ბარათი იყო მხოლოდ შედეგი უარის თქმისა უკვე წინედ აღთქმულს დაბეჭდვაზე. შვილი მამად გამოიყვანა და მამა შვილად. სიმართლის სიყვარულიც ამისთანა უნდა...

ამ სიმართლის სიყვარულს არა ნაკლები საფუძვლიანობა მოსდევს, ჩემს შენიშვნასთან მოამბეში დაიბეჭდა სხოლიოდ პატარა ბარათი, რომელიც მე მივწერე ჟურნალის რედაქტორს, ამ ბარათის დაბეჭდვას საშინლად გაუბრაზებია კრიტიკოსი და იგი მას ეძახის: ჭუჭყიანი საცვლის გამოფენას, იკლიკანტურს დასმენასა. აი ეს საშინელი ბარათი სიტყვა სიტყვით: „ბატონო რედაქტორო! ეს შენიშვნა გავგზავნე „ივერიაში“ დასაბეჭდად; მაგრამ თანამშრომლებმა უხერხულად ჩასთვალეს ადგილი დაეთმოთ გაზეთში, საყვედურის კილოზეა დაწერილიო. თვითონ რედაქტორს არ მივმართე, რადგან აპელაცია და კასსაცია საზოგადოდ არაფრად მეპიტნავება, ამის გამო გთხოვთ დაბეჭდოთ თქვენს პატივცემულს ჟურნალში“. თუ ამ ამბის სისწორით გამოქვეყნება ვისთვისმე ცოტაოდნად მაინც უხერხო იყო, ეს მხოლოდ რედაქტორისათვის, თანამშრომლების შესახებ-კი აქ თავაზიანობის მეტი არა მოიპოვებარა. მაგრამ რედაქტორმა აქ საწყენი არა ნახარა, თანამშრომელი-კი ისე გაბრაზიანდა, რომ თავისი საკუთარი მოქმედება ჭუჭყიანს სარეცხს ღაადარა საქვეყნოდ და ჩვენ ამ სარეცხის გამოფენა დიდ ცოდოდ დაგვადო კისერზე. სიმარჯვეც ამასა ჰქვიან.

მაგრამ აშკარაა, რომ სათავე კრიტიკოსის სიბრაზეს სხვაგან უნდა ჰქონდეს, ძალლი სხვა ადგილას უნდა იყოს დაფლული, ერთი უცხოელი ანდაზისა არ იყოს. ამის მიგნებას დიდი თავის ტეხვა არ უნდა. გამოცანა ცხადად გამოსჭვივის ავტორის შემდეგს ფრაზაში:

„მე სრულიად წინაალმდეგი არა ვარ იმისი, რომ ჩემი ბიბლიოგრაფიები ვინმემ მიწასთან გაასწოროს“. —განა აქ არ ეტყობა, რომ კრიტიკოსი თავისს ბიბლიოგრაფიას მიწასთან გასწორებულად სთვლის და ეს აბრაზებს მას? მაგრამ დიდად სცდება აქაცა. მისი ბიბლიოგრაფიის მიწასთან გასწორება ყოვლად შეუძლებელი იყო და არის. აბა ერთი მიბრძანეთ, რა სახით გაასწორებთ მიწასთან მას, რაც ამ მიწას არ ასცილებია, და არ ასცილებია იმის გამო, რომ ავტორი ერთსა და იმავე რასმე უინტერესოსაც ეძახის და საინტერესოსაც, ერთს სტრინონში შავად ალიარებულს მეორე სტრიქონში თეთრად რაცხს და მიწას ზევით თვითონვე არ უშვებს თავისს აზრებსა. ეს ცხადი იყო და არის ყველა შეგნებული მკითხველისათვის, და ჩვენც მხოლოდ ეს აღვნიშნეთ და განვმარტეთ. და რაიაა მკითხველს ეს წინაალმდეგობა ავტორის აზრებისა მისი უგუნურებისათვის არ დაებრალებინა, არამედ აჩქარება დაესახა მიზეზად, ჩვენს შენიშვნას დავარქვით ასეთი თავაზიანი სახელი: „აჩქარებული მსჯელობა“ და ბოლოს დავსძინეთ: ვსწერ ამას გასაფრთხილებლად და არა საპოლემიკოდ მეთქი.

რას მოვიფიქრებდი, თუ ჩემი სამართლიანი და თავაზიანი შენიშვნა გამოიწვევდა იმ ყოვლად-უსაფუძვლო და უკადრისს „საკენკს“, რომლითაც ავტორმა თავისი მსჯელობის მიწასთან გასწორებას დაურთო მიწასთანავე გასწორება თავისი სამართლიანობისა და რიგიანობისა ყოველ შეგნებულს მკითხველის თვალში. დარწმუნებული ვარ, რომ ამას ალიარებს მომავალი სალიტერატურო სამართალი და ამითი დაეხმარება დაცვას ჩვენს პერიოდულს ლიტერატურაში ელემენტარულის წეს-რიგისას, რომელიც ისე ხშირად ირღვევა ბევრთაგან მწერლობის დასამცირებლად და საზოგადოების გასახრწნელად.

იაკობ სიმონიძე.

## უცხოეთი

ტრანსვაალი. რეიტერის სააგენტოს ატყობინებენ პრეტორიიდამ, სცდილობენ ტრანსვაალის მთავრობამ, რაც შეიძლება, შეუმსუბუქოს სასჯელი იოჰანენსბურგის რევოლიუციონერებსაო.

ინგლისის კორესპონდენტი პალანში ემუქრება ბურებს: ადგილობრივი მცხოვრებლები დაგესხმიან თავს ინგლისელების შეგონებითაო იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავეთ ძალიან არ შეუმსუბუქეთ სიკვდილით დასჯაო.

„ტაიმსის“ კორესპონდენტი იტყობინება კაპტოუნიდამ, რომ [illegible] რანჟის რესპუბლიკის სახალხო კრებამ გარდასწყვიტა [illegible] ცყობინოს ოზერ-კომისიას, [illegible] რესპუბლიკა უარს ამბობს იმ პირობაზედ, რომლის ძალითაც ბრიტანიის კომპანიას ხელში აღარ ჩაუგდებენ დამნაშავეთ.

ინგლისი. ინგლისის ჟურნალ-გაზეთობა, პარტიების განურჩევლად, დიდს ყურადღებას აქცევს დამატებითი არჩევნების შედეგს. პარლამენტის დეპუტაციების საზოგადო არჩევნებზედ ჩრდილო ებერდინის ოლქში ლიბერალმა გენტერმა მიიღო 4,156 ხმა 608 წინაალმდეგ, რომელიც სოციალისტს მაგანს ერგო. ეხლა-კი დამატებითს არჩევნებზედ სოციალისტმა ტომ მანნმა მიიღო 2,479 ხმა და ლიბერალმა პირისამ 2,909 ხმა, ასე რომ ლიბერალმა ძლივს-ძლივობით დაირჩინა ადგილი სოციალისტთან ბრძოლაში. ნუ თუ სოციალიზმი ასე იზრდებაო, კითხულობენ ინგლისელი გაზეთები.

— ავსტრიის რაზმი, რომელსაც შეადგენს რამდენიმე ექიმი და დანი მოწყალებისა, კათოლიკეთა ოთხის პატრით წავიდნენ აბაშეთში, რომ აღმოუჩინონ შემწეობა აბაშელებისაგან დაჭრილსა და ავადმყოფს დატყვევებულ იტალიელებს. ინგლისელები, როგორც იტალიელები, დიდის თანაგრძნობით ეკიდებიან ავსტრიის რაზმს და ჰფიქრობენ, რომ დასავლეთი ევროპისათვის სასარგებლო გავლენას იქონიებს აბაშელებზედ.

— ლონდონში მოლაპარაკებაა ჩინეთის სესხის შესახებ. ის ბანკები, რომელნიც მისცემენ სესხს ჩინეთს, მიიღებენ კონცესსიას (ნება-რთვას) რკინის გზის გაყვანისას ჩინეთში.

— ამბობენ, რომ ტემზის ნაპირზე გახსნიან ახალ სასტუმროს „სესილს“, რომელიც 14 სართულიანი იქმნება. ეს იქმნება უდიდესი და უმშვენიერესი სასტუმრო ევროპაში. იგი იქმნება აგებული იმ ადგილზედ, საცა ოდესმე ლორდ სესილის სასახლე იყო. ეს ლორდ სესილი დედოფალ ელისაბედის კანცლერი იყო და მარკიზ სოლსბერის წინაპარი.

— ინგლისის ჟურნალ-გაზეთობა გაცხარებული ლაპარაკობს სპარსეთის შაჰის მოკვლის შესახებ და ეს გაცხარება თანდათან ძლიერდება. განსაკუთრებით „დაილუ ქრონიკლი“ იჩენს ამ სიცხარეს. „სპარსეთიო, ამბობს გაზეთი, ესაზღვრება ავღანისტანსა და ბელუჯისტანს. მეორეს მხრით ესაზღვრება რუსეთს. თუ მუზაფერ ედინი რუსეთის მეგობარი არ იქმნა, ერთ დღეს ხოროსანი რუსის პროვინციად შეიქმნება.

ავსტრ-უნგრეთი. „კელნიშე ცაიტუნგი“ გვაუწყებს, რომ უნგრეთის წინაალმდეგი მანიფესტაცია მოხდა არა თუ ბელგრადში, არამედ სერბიის სხვა ქალაქებშიაც. მრავალი მანიფესტანტი დასჭრეს. მინისტრმა ნოვაკოვიჩმა განუცხადა ავსტრ-უნგრეთის ელჩს თავისი სინანული და მთავრობამ მიიღო ენერგიული ზომები მოსალოდნელ დემონსტრაციის მოსასპობლად. უნგრეთის დროშის დაწვა თურმე ისე უეცრად მოხდა, რომ პოლიციას არც-კი გაუგია. საღამოს დიდი გროვა გაემართა სასახლისაკენ და საფრანგეთის და რუსეთის საელჩოსაკენ. [illegible] ერმე გროვა გაემართა [illegible] ნგრეთის სავაჭრო მუზეუმისაკენ, მაგრამ თოფის სროლით გარეკ-გამორეკეს.

საფრანგეთი. როგორც ვიცით, მელინის დეკლარაციით ბურჟუამ გარდასწყვიტა ხალხს აღუძრას სურვილი კონსტიტუციის გადასინჯვისა. „ფიგარო“ და ოპორტუნისტთა სხვა გაზეთები სცდილობენ ჩირქი მოსცხონ ამგვარს მოძრაობას, დასცინიან მას და ადარებენ ბულანჟეს აგიტაციას. „ის განსხვავებაა მხოლოდ“, ამბობს „ფიგარო“ წერილში, რომელსაც ჰქვია „ბულანჟე II“, რომ გენერლის ადგილს დაიჭერს პოლიციის პრეფექტად ნამყოფი კაცი. ბულანჟესა ჰყავდა „ნაციონალური კომიტეტი“, ბურჟუასა ჰყავს «საყოველთაო არჩევნების უფლების დამცველი კომიტეტი“. ამ კომიტეტში მონაწილეობას ღებულობენ ზოგიერთნი პირნი, რომელნიც უწინ ბულანჟეს მომხრე იყვნენ. ბულანჟიზმიც რადიკალთა პოლიტიკის შედეგი იყო; ბურჟუაც რადიკალთაგან არის აღმოჩენილი. ბულანჟეს ჰყავდა მომხრეებად მონარქისტები, ბურჟუას-კი სოციალისტები. ბოლოს „ფიგარო“ გვიწინასწარმეტყველებს, რომ ამას იქით მალე დაიწყებენ ქუჩაში სიმღერას, რომელშიაც „თავისუფლების დამცველს“ ქებას შეასხამენ და ბურჟუას პორტრეტებს დაარიგებენ, სწორედ ისე, როგორც ბულანჟესას არიგებდნენ. ამგვარი შედარებითი მეთოდი რომ ვიხმაროთ, მაშინ ხომ „ფიგაროც“ ბეჭდვითი სიტყვის საუკეთესო წარმომადგენლად უნდა მივიჩნიოთ.

სპარსეთი. ნასრედინნ დარჩა აუარებელი ქონება, რომელიც დაფასებულია დაახლოვებით მილიარდ ფრანკად. ნახევარს ამ ქონებისას შეადგენს ფული, ხოლო ნახევარს ძვირფასი ნივთეულობა. სხვა ძვირფასს ნივთთა შორის ექვსი ნივთია, რომელსაც შაჰი ხმარობს თავისს დაგვირგვინების დღეს. აი ეს ნივთები: გვირგვინი დიდრონი ბრილიანტებით, ზურმუხტით, საფირითა და ლალით შემკული. სამეფო ტანისამოსი, რომელიც ერთს ფუთს იწონის; ეს ტანისამოსი ძვირფასი ფარჩაა და ძვირფასი თვლებით არის მოწყობილი; ორი სამკლავე, რომელსაც ეწოდება «ორეოლის ზღვა» და რომელიც, როგორც ამბობენ, მშვენიერის სხივებით ანათებს ბნელს ოთახს. ხმალი, რომლის ქარქაში სულ ძვირფასი თვლებით არის შემკობილი; ჯაჭვი ყელზედ ჩამოსაკიდებელი სულ ბრილიანტის თვლებით არის შემკული, ზოგიერთი ბრილიანტი მტრედის კვერცხის სიმსხოა; ტახტი ძვირფასის თვლებით არის შემკული. ამ რეგალიებს შაჰი მიიღებს თეირანში მისვლის შემდეგ, სადაც უკვე გაემგზავრა.

## შემოწირულება.

ჩვენ მივიღეთ გიორგი ბაქრაძისაგან წყალ-დიდობისა და დიდის თოვლიანობისაგან დაზარალებულ ქუთაისის გუბერნიისა და ტფილისის გუბერ. გორის მაზრის მცხოვრებთა სასარგებლოთ შეკრებილი სამი თუმანი, 1 მ. და 65 კ. აი სია შემომწირველთა:

გიორგი ბაქრაძემ 1 მ., ნიკოლოზ კარახანოვმა 1 მ., დავით და ივანემ 1 მ., მოსო მარტიროზოვმა 1 მ., კატარინე მანველოვმა 1 მ., სონა ოსივ—ვისამ 1 მ., Е. Салинова 50 კ., გიორგი, ნიკო და ფიდო ბასილაშვილებმა 5 მ., ქრისტესია ხუციძემ 1 მ., გეურქ მჭედლოვმა 1 მ., კაკან სტეფანოვმა 1 მ., გიგო ზაქარიას ძე ხარაზოვმა 1 მ., სიმონ ფარემუზოვმა 1 მ., მიხაკა ხუდავერდოვმა 40 კ., აბელ აბესალოვმა 50 კ., გიორგი ანტონის ძე ბასინოვმა 1 მ., პავლე ბეჟანის ძე ნიკოლოვმა 50 კ., ვარლამ მახარაძემ 1 მ., ალექ-

სანდრე არუთინოვმა 1 მ., ისაკა ჩივაძემ 30 კ., მღვდელმა კალისტრატ ცინცაძემ 2 მ., მღვდელმა ანტონ თოთიბაძემ 2 მ., ნატალია თოთიბაძისამ 1 მ., ალექსანდრე ინაძემ 1 მ., ნიკოლოზ კობახიძემ 1 მ., გიორგი ანტონის ძე კოწოწოვმა 50 კ., დავით მათეს ძე მონასელიძემ 50 კ., დიაკონმა ნიკოლოზ კუპაიძემ 45 კ. გიორგი ყაჯარდუზოვმა 1 მ. და დავით გვახარიამ 1 მანეთი. სულ 31 მან. 65 კაპ.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო ბ. ბიქტორ ნიკოლოზის-ძეს დარჩიას, რომელმაც ჯურუყვეთის ს. სკოლას გამოუწერა—„ივანე როსტომაშვილის გამოცემანი“ 1896 წლისა.

ჯურ. სკოლის მასწავლებელი ილ. გუნცაძე.
28 აპრილი, 1896 წ. ს. ჯურუყვეთი.

## საქართველოს თავადნი.

—

თავადნი ჩერქეზიშვილნი. საქართველოს მეფის კოსტანტინეს 11 მაისის 1722 წლის გუჯარში დარბაზთბატონი, მონავის მოურავი ჯან-ასლან ჩერქეზიშვილი თავადად არის წოდებული.

თავად ჩერქეზიშვილთა გვარეულობა აღნიშნულია კახეთის თავადთა სიაში, რომელიც საქართველოს მეფის ერეკლე II-ის მიერ 1783 წ. რუსეთის მთავრობასთან შეკრულს ტრაქტატსა აქვს ზედ დართული.

9 იანვარს 1829 წელს უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს განაჩენით თავადებად ცნობილ და V გვარეულობათა წიგნში შეტანილ არიან თავადნი ჩერქეზიშვილნი: 1) ბარძიმ ბესარიონის ძე და შვილნი მისნი: სარდიონ და იოსები; 2) პრაპორშჩიკი ივანე ნიკოლოზის ძე და შვილი მისი რაჟდენი; 3) გრიგოლ და ბაადურ ნიკოლოზის ძენი და 4) ბესარიონ და მიხეილ ზადუმურის ძენი.

უმართებულესის სენატის დადგენილებით 22 სექტემბერს 1847 წ., 12 ოქტომბერს 1849 წ., 24 მარტს 1854 წ., 29 თებერვალსა და 30 მაისს 1856 წ. და 19 ივნისს 1857 წ. ამ გვარს შეუერთდნენ თავადნი ჩერქეზიშვილნი: 1) ალექსანდრე, იასონ, ნიკოლოზ, კოსტანტინე და ვახტანგ ბაადურის ძენი; 2) სოლომონ სარდიონის ძე; 3) ნიკოლოზ გრიგოლის ძე; 4) სიმონ იოსების ძე და 5) დავით ბესარიონის ძე.

## „ივერიის“ დეპეშა.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

1 მაისი.

**მოსკოვი.** 30 აპრილს ჩამოვიდნენ: ინგლისის დესპანი, ესპანიის, ამერიკის და ბელგიის ელჩი, მინისტრი სახალხო განათლებისა, უწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგი, $6^1/_2$ საათზე მოვიდა დიდი მთავარი ნიკოლოს ნიკოლოზის ძე და აღმოსავლეთის პატრიარქების წარმომადგენლები. კურსკის რკინის გზის სადგურზედ მათ დასახვედრად შეიკრიბნენ: ავგუსტოესის გენერალ-გუბერნატორის წარმომადგენელი გენ.-მაიორი მერჩინსკი, მოსკოვის მიტროპოლიტისა—მოჟაისკის ეპისკოპოსი, ქალაქის მოურავი, ობერ-პოლიცმეისტერი. მალე მოვიდნენ: სახელმწიფო კანტროლიორი, სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგი, საბერძნეთის საქმეების გამგე, საბერძნეთის პატრიარქის მონასტრების წინამძღვრები სძპერძნეთის სამღვდელოებით. როცა მატარებელი გაჩერდა ვაგონში შევიდა საბერძნეთის სამღვდელოება ნიკომიდიის, ანქიალის, ლივიის, ტარსიის, ადონის მიტროპოლიტებისა და ფილადელფიის არქიეპისკოპოსის სანახავად. პლატფორმაზე მოჟაისკის ეპისკოპოსი მიეგება მათ.

კავკასიიდამ ჩამოვიდა რაზმი ნიჟეგოროდის დრაგუნებისა.

**ვენა.** ბულგარიის კნეინა თავადის ბორისითა და კირილეთი წავიდა სოფიაში.

**კონსტანტინეპოლი.** ოდესაში წავიდა 24 აპრილს ოსმალეთის საელჩო. იქვე წავიდა ჩერნოგორიის საქმეთა გამგე ბაკიჩი.

**მადრიდი.** პარლამენტი გახსნა დედოფალმა—რეგენტმა და მეფემ. წაკითხულ იქმნა სეფე-სიტყვა.

**ლონდონი.** ჯემსონსა და უაიტს გაუგზავნიათ „ტაიმს“ში წერილი, რომლითაც უარს ჰყოფენ არ მიგვიღია როდსისაგან დეპეშა, იოჰანესბურგში ჯარი გაგზავნეთო.

**კაპტოუნი** ინგლისის წარმომადგენელმა პრეტორიაში ჯაკობუს დევეტმა თხოვნა გაგზავნა სამსახურიდამ დამითხოვეთო.

**ვაშინგტონი.** ესპანიის მთავრობა გადასდებს და ჯერ-ჯერობით არ დასჯის სიკვდილით იმ ამერიკელებს, რომელნიც დაატყვევეს ერთ გემზე, რადგანაც ეს ითხოვა შტატების მთავრობამ.

**მასსოვა.** აქედამ გავიდა გემი „არხიმედესი“, რომელსაც მიჰყავს იტალიელი ჯარები სამშობლოში.

## „ივერიის“ ფოსტა

—

**ს. ხიდისთავში**—ვ. კა—ძეს: თქვენი წერილი არ დაიბეჭდება. თქვენგან უწყებულ ამბის შესახებ ჩვენ არ შეგვიძლიან ლაპარაკი; სჯობს კერძო წერილი გაუგზავნოთ, ან მოელაპარაკოთ.

**ქ. ოდესაში**—ივ. ცეცხლაძეს: თქვენი წერილი არ მიგვიღია.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. მ. ზუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, სასქესო და ნერვის ავადმყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. ზუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

---

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში
დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—113).

---

ქირავდება
ხუთი ოთახი ავჭალის ქუჩა, № 21.

---

კვირას, 12 მაისს 1896 წ.
ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია

საზოგადო კრება

„ქალაქის ხარჯზე არსებულ სასწავლებლების ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ საზოგადოების“ წევრთა.

კრებაზე წარდგენილ იქმნება:

1. 1895 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;
2. არჩევანი თავმჯდომარისა, მისის თანაშემწისა, გამგე კომიტეტის სამის წევრისა, მდივნისა და ხაზინადრისა,

დასაწყისი დილის 11 საათზედ.

(3—უ—2)

---

«სიჭაბუკის ცოდვა»

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ-რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული
დ-რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანეთი

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან, ლეიპციგს. Otto Asperger, Leipzig (საქსონიას). უცხოქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან. 31—1—6

---

გამოვიდა და ისყიდება
ახალი წიგნი

მოწამეის დღიური

თხზულება
ედმონდ დე-ამიჩისა.

ნათარგმნი ი. ცისკარაშვილის მიერ.
გამოცემული
ნინო ცისკარაშვილისაგან.

წიგნი ღირს ოთხ აბაზად და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში.

---

სითხე ბაღლინჯოებისა და ხოჭოსა ჭიის წინააღმდეგ

კ ე ლ ლ ე რ ი ს ა.

ისყიდება ყველგან და ყველა ცნობილ ვაჭრებთან.

ეს სითხე უნდა წაუსვათ რითიმე ან ასხუროთ იმ ადგილას, სადაც ეს ჭიებია და მაშინვე გასწყვეტს და მათთან ერთად კვერცხებსაც; ასე რომ დიდ ხნობამდის ამ ადგილებში ხსენებული ჭიები აღარ გაჩნდება.

სითხეს არავითარი განსაკუთრებული ფერი არა აქვს, ხმარების დროს ავეჯეულობასა და კედლებზედ ლაქებს არ სტოვებს და ძალიან იაფადაცა ღირს. (3—17—1)

---

ახლად გამოვიდა და ისყიდება

ქართული გალობა

ლიტურგია იოანე ოქროპირისა.

მღვდლისა და მღვდელ-მთავრისათვის, გამოცემა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, გადაღებული ფ. ქორიძის მიერ. გადმოცემული: ანტონ ნ. დუმბაძისა, დიმიტრი ჭალაგანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძისა და ივლიანე ი. წერეთლისაგან. რამდენიმე საგალობელი გადმოცემულია მელქისედეკ გ. ნაკაშიძისა და მღვ. ნესტორ ე. კონტრიძისაგან.

პარტიტურა № 1.

წიგნი 174 გვერდია და ღირს ერთი მანეთი.

**ცალკე ხმები:** დამწყებისა, მაღალი ბანისა და ბანისა თვითოეული წიგნი 70 გვერდია და ღირს ორ-ორ აბაზად. ვინც სამივეს ერთად იყიდის, ერთ მანეთად დაეთმობა. წიგნები ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და გამომცემელთა მ. შარაძისა და ამხანაგობის სტამბაში, ნიკოლოზის ქუჩა, № 21.

**მ. შარაძისა და ამხანგობის სტამბაში მიიღება ნოტების ბეჭდვის საქმე.** საგანგებოდ ამისათვის რუსეთიდამ ასოებია გამოწერილი და იმგვარადვე იბეჭდება, როგორც ჩვეულებრივი წიგნი. ნოტების ბეჭდვა შეიძლება ცალკე წიგნად და აგრეთვე სხვა ჩვეულებრივ წიგნთან ერთად შიგ ჩართვით.

---




Общество Страхованія Жизни.

Невскій пр., № 13,

დაზღვეულნი პირნი დაზღვევის პირველის წლიდგანვე მიიღებენ საზოგადოების მოგების 50%, რომელიც წლის ანგარიშში იქნება ნაჩვენები.

ამასთანვე იმათ მიენიჭებათ დიდი უპირატესობანი, თუ ვინიცობაა დაუძლურდნენ და მუშაობა ველარ შესძლეს.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, სოლოლაკის ქუჩა, სახლი გურგენოვისა, № 6.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ. (40—34)

---




(50—505—6)